- ფრანგი კინორეჟისორი ლუკ (.....) — 6
- ძუძუს თავი — 5
- ცხვრების ერთობა — 4
- სამხედრო-საზღვაო წოდება — 8
- საცხოვრებელი — 4
- ტყავგადაკრული საკრავი — 5
- საბჭოური სატვირთო მანქანა — 4
- მშობელი — 4
- კლასის ხელმძღვანელი სკოლაში — 11
- ადგილი ანუ? — 5
- ერთის წინაა — 4
- სახის კუნთების მოძრაობა — 6
- სოფელი სიღნაღის რაიონში — 5
- საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება — 11
- ბანქოს თამაში, სადაც გულის მეფე ყველაზე მნიშვნელოვანია ფიგურაა — 5



# თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 19 | 2 | 19 | 15 | 12 | | 19 | 23 | 7 | 19 | 30 | 2 | 19 | |
| 31 | | 30 | | 19 | | 19 | | 19 | | | | 19 | | 15 |
| 19 | 9 | 32 | 12 | 31 | 12 | 23 | 33 | 31 | 30 | | 15 | 24 | 2 | 11 |
| 31 | | 20 | | 19 | | 30 | | 23 | | 6 | | 10 | | 7 |
| 19 | 31 | 30 | 2 | 12 | | | 23 | 12 | 3 | 12 | 25 | 11 | 32 | 30 |
| 12 | | 13 | | | 19 | 29 | 19 | | | 23 | | 9 | | 33 |
| | 10 | 30 | 19 | 9 | 30 | | 30 | | 31 კ | 19 ა | 18 ბ | 19 ა | 20 რ | 11 ე |
| | 11 | | 3 | | 20 | 11 | 15 | 18 | 12 | | 19 | | 19 | |
| 19 | 3 | 11 | 9 | 32 | 30 | | 19 | | 31 | | 7 | | 13 | |
| | 19 | | 30 | | | 11 | | 18 | 19 | 23 | 12 | 9 | 30 | |
| 15 | | 2 | | 18 | 14 | 31 | 23 | 11 | | 30 | | 11 | | 5 |
| 19 | 18 | 11 | 23 | 30 | | 30 | | 31 | 12 | 20 | 31 | 12 | 32 | 30 |
| 20 | | 9 | | 22 | 30 | 14 | 2 | 12 | | 30 | | 3 | | 25 |
| 19 | 6 | 19 | 9 | 30 | | | | 9 | 19 | 31 | 20 | 11 | 18 | 30 |
| 12 | | 14 | | 19 | 18 | 19 | 6 | 30 | | 19 | | 19 | | 19 |

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | თ | ი | კ | ლ | მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | |
| **ნ** | **ო** | **პ** | **რ** | **ს** | **ტ** | **უ** | **ქ** | **ღ** | **ძ** | **წ** | **ხ** |
| | | | | | | | | | | | |


ენციკლოპედიების იაპონელები

- **ტაიამა** კატაი (1871-1930 წწ) მწერალი.
- **ტანგე** კენძო (დაიბ. 1913 წ.) არქიტექტორი.
- **ტანიძაკი** ძიუნიტირო (1886-1965 წწ), მწერალი.
- **ტიკამაცუ** მონძეამონ (1653-1724), დრამატურგი.
- **ტობა სეძო** (1053-1140) ფერმწერი.
- **ტოგო** ჰეიჰატირო (1847-1934) ფლოტის ადმირალი.
- **ტოეკუნი** უტაგავა (1769-1825) ფერმწერი.
- **ტოეტომი** ჰიდესი (1536-1598) მხედართმთავარი, ქვეყნის გაერთიანების ერთ-ერთი ინიციატორი.
- **ტოკუნაგა** სუნაო (1899-1958) მწერალი.
- **ტოკუტომი** როკა (1868-1927 წწ). მწერალი.
- **ტომონაგა** სინიტირო (1906-1979 წწ). ფიზიკოს-თეორიტიკოსი, 1965 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი.
- **ტონეგავა** სუძუმი (დ. 1939 წ) გენეტიკოსი, 1987 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი.
- **უედა** აკინარი (1734-1809) მწერალი.
- **უტამარო** კიტაგავა (1753-1806). ფერმწერი, უკიე-ე-ს სკოლის ფუძემდებელი.
- **ფტაბეტეი** სიმეი (1864-1909 წწ) მწერალი, თანამედროვე იაპონური ლიტერატურული ენის ერთ-ერთი შემქმნელი.
- **ფუძივარა** სადაიე (1162-1241) პოეტი.
- **ფუკუი** კენიეტი (დ.1918 წ). ფიზიოქიმიკოსი, 1981 წ ნობელის პრემიის ლაურეატი.
- **ფუსიმი** კოძი (დ. 1909 წ) ფიზიკოსი.
- **ჰაკუინი** (1686-1769 წწ) მოაზროვნე, მხატვარი.
- **ჰარუნობუ** (1725-1770 წწ.) მხატვარი.
- **ჰირაიამა** კიიოცუგუ (1874-1943), ასტრონომი.
- **ჰიროსიგე** (1797-1858) მხატვარი.
- **ჰონდა** სუიტირო (1906-1991) მეწარმე, ფირმა „ჰონდას“ დამაარსებელი.

ამით ვამთავრებთ პირველ ციკლს იაპონიის შესახებ. გაგრძელება აუცილებლად იქნება.

საკროსვორდო ენციკლოპედიის მეორე წიგნის მოლოდინით დაღლილ მკითხველებს ვაცნობებთ, რომ წიგნი მზადაა და უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ „მაცნეს“ ჯიხურებში და სხვა საგაზეთო ქსელში. წიგნის ორივე ნაწილი კი შეგიძლიათ ნახოთ მაღაზია „პარნასში“ (ჭავჭავაძის გამზირი) შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ - 76-68-02 - და დაგეხმარებით წიგნის შეძენაში

წლის ბოლომდე აუცილებლად გამოვა „ერთი მსახიობის ბიოგრაფიის“ სერიით კიდევ ორი ბროშურა (სავარაუდოდ ესენი იქნებიან მერილინ მონრო და ალენ დელონი ან რომელიმე ქართველი მსახიობი) ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ამ სერიის უკვე გამოსული შვიდივე წიგნი შეღავათიან ფასად

ამ ნახატის ავტორის აზრით ეს არის ღამურა თქვენ როგორ გგონიათ, არის?

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | 5 | | | | | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 1 | 2 | 2 | 8 | 7 | 8 | 8 | 3 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 7 | 3 | 2 | 4 | 6 | 7 | 8 | 10 | 7 | 3 | 8 | 8 | | | | | | | 3 | 10 | 7 | 6 | | | | | | | |
| 3 | 1 | 14 | 14 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 3 | 12 | 5 | 3 | | | | 5 | 3 | | 3 | 3 | 7 | 4 | | 6 | 11 | 11 | 16 | 16 | |
| 2 | 3 | 8 | 7 | 7 | 6 | 5 | 5 | 4 | 3 | 2 | 5 | 2 | 14 | 12 | 9 | 6 | 9 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 8 | 2 | 1 | 4 | 2 | 1 | 14 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 5 |
| | | | | | | 7 |
| | | | | | | 9 |
| | | | | | | 10 |
| | | | | | 11 | 6 |
| | | | | 2 | 11 | 9 |
| | | | | | 16 | 10 |
| | | | | 4 | 11 | 11 |
| | | | | | | 23 |
| | | | | | | 21 |
| | | 4 | 1 | 2 | 1 | 5 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 2 | 5 |
| | | | | 11 | 10 | 6 |
| | | | | | 21 | 6 |
| | | | 7 | 4 | 7 | 5 |
| | 2 | 4 | 4 | 3 | 1 | 3 |
| | 2 | 6 | 1 | 3 | 2 | 3 |
| | | | 3 | 6 | 7 | 3 |
| | | | 6 | 6 | 6 | 3 |
| | | | 6 | 6 | 3 | 4 |
| | | | 7 | 4 | 4 | 4 |
| | | | 7 | 3 | 2 | 1 |
| | | | | 7 | 2 | 2 |
| | | | | 8 | 1 | 2 |
| | | | | | | 10 |
| | | | | | | 5 |
| | | | | | 4 | 2 |
| | | | | | 7 | 1 |
| | | | | | | 8 |
| | | | | | | 8 |
| | | | | | | 9 |
| | | | | | 7 | 1 |
| | | | | | | 5 |
| | | | | | | 3 |
| | | | | | | 1 |

# უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მე-2 ტომი

**ვისბადენი** - ქალაქი გერმანიის ჰესენის მხარეში, პორტი მდინარე რაინზე (265 ათასი).
**ვისბიუ** - ქალაქი შვედეთის გოტლანდის ლენში.
**ვისენტე** (ვისენტი) ჟილ - პორტუგალიელი დრამატურგი, წერდა პორტუგალიურ და ესპანურ ენებზე (დაახლოებით 1470 - 1536 წწ).
**ვისენტე-ლოპესი** - ქალაქი არგენტინის ბუენოს-აირესის პროვინციაში.
**ვისერმანი** ელტე - ჰოლანდიელი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი და საერთაშორისო არბიტრი (1922 - 1978 წწ).
**ვისვამიტრა** (ძვ.ინდ. „ყველას მეგობარი") - ინდური მითოლოგიის ცნობილი სახე, კშატრის ძე, ლეგენდარული მეფე, რომლის ამბავი „რამაიანას" მთავარ სიუჟეტს ავსებს.
**ვისი**[1] - ნაცვალსახელი; აღნიშნავს კითხვას – რომელი ადამიანისა?
**ვისი**[2] - მთავარი პერსონაჟი ქალი ფაჰრ-უდ-დინ-გორგანის პოემისა „ვისრამიანი", რამინის სატრფო.
**ვისიმე** - განუსაზღვრელი ნაცვალსახელი; რაც ეკუთვნის ვისმე.
**ვისიმი** - მდინარე რუსეთის ტიუმენის ოლქში, ჩრდილოეთის სოსვის მარჯვენა შენაკადი.
**ვისიმო-უტკინსკი** - დაბა რუსეთის სვერდლოვსკის (ეკატერინბურგის) ოლქში.
**ვისიც** - მიმართებით ნაცვალსახელი; იმ ადამიანისა, რომელიც...
**ვისკაშა** (Lagostomus maximus) - ძუძუმწოვარა ცხოველი მღრღნელების რიგისა. სხეულის სიგრძე 70 სმ-მდე, კუდისა - 20 სმ. ითვლება საძოვრების მავნებლად.
**ვისკი** (ინგლ.) - სპირტიანი სასმელი, რომელიც გაღივებული ალაოსაგან მიიღება. მის სამშობლოდ ირლანდია და შოტლანდია ითვლება.
**ვისკოზა** (ლათ.) - 1) ნივთიერება, რომელსაც იღებენ ცელულოზისაგან და იყენებენ ხელოვნური აბრეშუმის, ხელოვნური ტყავის და მისთანების დასამზადებლად. 2) ხელოვნური აბრეშუმი.
**ვისკოზიმეტრი** - სითხის სიბლანტის საზომი ხელსაწყო.
**ვისკოზიმეტრია** - ფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს სიბლანტის გაზომვის ხერხებსა და მეთოდებს.
**ვისკოზინი** (ლათ.) - გამჭვირვალე ზეთი, რომელიც მიიღება მაზუთისაგან; იყენებენ ორთქლის მანქანების ცილინდრის შესაზეთად.
**ვისკონსინი** - შტატი, იხილე *უისკონსინი.*
**ვისკონტები** - ლომბარდიელი ფეოდალების წარჩინებული გვარი (ცნობილია X საუკუნის ბოლოდან); 1277 - 1447 წლებში - მილანის ტირანები.
**ვისკონტი** ლუკინო (სრული სახელი ლუკინო ვისკონტი დი მოდრონე) - იტალიელი კინორეჟისორი და სცენარისტი (1906 - 1976 წწ).
**ვისლა** - პოლონეთის უდიდესი მდინარე, ერთვის ბალტიის ზღვის გდანსკის ყურეს (1047 კმ).
**ვისლის** ყურე - მდებარეობს ბალტიის ზღვაში, რუსეთის კალინინგრადის ოლქის და პოლონეთის სანაპიროზე.
**ვისლიცენუსი** იოჰანეს - გერმანელი ქიმიკოსი (1835 - 1902 წწ).
**ვისლოკა** - მდინარე პოლონეთში, ვისლის მარჯვენა შენაკადი.
**ვისმარი** - ქალაქი აღმოსავლეთ გერმანიაში, პორტი ბალტიის ზღვაზე (55 ათასი).
**ვისნაპუუ** ჰენტიკ - ესტონელი პოეტი (1890-1951 წწ).
**ვისოვა** გეორგ - გერმანელი მეცნიერი კლასიკური ფილოლოგიის დარგში (1859 - 1931 წწ).
**ვისოკაია** - მთა რუსეთის სვერდლოვსკის (ეკატერინბურგის) ოლქში, შუა ურალის აღმოსავლეთ ნაწილში.
**ვისოკი** - დაბა უკრაინის ხარკოვის ოლქში.
**ვისოკოგორნი** - დაბა რუსეთის ხაბაროვსკის მხარეში.
**ვისოკოგორსკი** - დაბა რუსეთის პრიმორიეს მხარეში.
**ვისოკოე** - 1) ქალაქი ბელორუსიის ბრესტის ოლქში. 2) დაბა უკრაინის დონეცკის ოლქში.
**ვისოკოვიჩი** ვლადიმერ - რუსი პათოლოგანატომი, ბაქტერიოლოგი და ეპიდემიოლოგი (1854-1912 წწ).
**ვისოკოვსკი** - ქალაქი რუსეთის მოსკოვის ოლქში.
**ვისოკოპოლიე** - დაბა უკრაინის ხერსონის ოლქში.
**ვისოცკა** სტანისლავა - პოლონელი მსახიობი ქალი, რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, პედაგოგი (1878 - 1940 წწ).
**ვისოცკაია** 1) ოლგა - რუსი რადიოდიქტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი (1906 - 2000 წწ). 2) სტანისლავა - პოლონელი მსახიობი და რეჟისორი ქალი (1878 - 1941 წწ).
**ვისოცკი** 1) ვლადიმირ - რუსი პოეტი, მსახიობი, მომღერალი (1938-1980 წწ). 2) იუზეფ - პოლონეთის პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი (1809-1873 წწ).
**ვისოცკი** - ქალაქი რუსეთის ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგის) ოლქში.
**ვისპიანსკი** სტანისლავ - პოლონელი მწერალი, დრამატურგი, მხატვარი (1869 - 1907 წწ).
**ვისრამიანი** - ძველი ქართული მწერლობის ძეგლი. XI საუკუნის სპარსელი პოეტის ფაჰრ-უდ-დინ გორგანის სამიჯნურო პოემის „ვის ო რამინის" პროზაული თარგმანი; შესრულებულია XII საუკუნის I ნახევარში. ტრადიცია მის მთარგმნელად სარგის თმოგველს ასახელებს.
**ვისტი** (ინგლ.) - 1) ბანქოს თამაშის სახეობა. 2) ბანქოს ქაღალდების გარკვეული კომბინაცია პრეფერანსის, ბოსტონის თამაშში.
**ვისუნი** (ვულსუნი, ისუნი) - მდინარე უკრაინის ნიკოლაევის ოლქში, ინგულეცის მარჯვენა შენაკადი.
**ვისცერული** - ცხოველის შინაგან ორგანოებთან შინაგნეულობასთან დაკავშირებული.
**ვიტალი** ივან - რუსი მოქანდაკე, მონუმენტალისტი, კლასიციზმის წარმომადგენელი (1794 - 1855 წწ).
**ვიტალიერები** - ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების მეკობრეთა გაერთიანება XIII-XV საუკუნეებში.
**ვიტალიზმი** (ლათ.) - ბიოლოგიის მიმდინარეობა, რომელიც ორგანიზმებში არამატერიალური ზერეალური ძალების არსებობას აღიარებს.
**ვიტალისტი** - ვიტალიზმის მომხრე.
**ვიტალური** - სიცოცხლის მოვლენებთან დაკავშირებული.
**ვიტამინი** (ლათ.) - 1) სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის ორგანული ნივთიერება, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური სასიცოცხლო მოქმედებისათვის. 2) ასეთი ნივთიერების შემცველი პრეპარატი.
**ვიტამინიზაცია** - ვიტამინების შეყვანა, ვიტამინებით გაჯერება.
**ვიტამინოლოგია** - მეცნიერება ვიტამინების შესახებ.
**ვიტასეკი** ფრანტიშეკ - ჩეხი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალისტი და გეომორფოლოგი (1890-1980 წწ).
**ვიტასი** იუოზას (ნამდვილი სახელი და გვარი იონას ვალუნასი) - ანტიფაშისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლიტვაში მეორე მსოფლიო ომის დროს (1899 - 1943 წწ).
**ვიტბანკი** - ქალაქი და ქვანახშირის მოპოვების აუზი სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის პროვინციაში.
**ვიტბოი** ჰენდრიკ - გერმანელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ხალხთა ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (1840-1905 წწ).
**ვიტგენშტაინი** ლუდვიგ - ავსტრიელი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი, ანალიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი (1889 - 1951 წწ).
**ვიტე** ემანუელ დე - ჰოლანდიელი ფერმწერი (დაახლოებით 1617 - 1692 წწ).
**ვიტებეტი** - მდინარე რუსეთის ორიოლის და კალუგის ოლქებში, ჟიზდრის მარჯვენა შენაკადი.
**ვიტებსკი** - ქალაქი ბელორუსიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, საოლქო ცენტრი (360 ათასი).
**ვიტეგრა** - 1) ქალაქი რუსეთის ვოლოგდის ოლქში. 2) მდინარე რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილო-დასავლეთით.
**ვიტელი** - ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში, ქალაქ ნანსის სამხრეთ-დასავლეთით.
**ვიტელიუსი** - რომის იმპერატორი, დაიღუპა *ვესპასიანეს* წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. (15-69 წწ).
**ვიტელსბახები** - სამხრეთ გერმანული დინასტია, რომელიც ბავარიას მართავდა 1180 - 1918 წლებში.
**ვიტენბერგე** - ქალაქი გერმანიაში, მეკლენბურგ-პომერანიის მხარეში, პორტი მდინარე ელბაზე.
**ვიტენბერგი** (ლუთერშტადტი) - ქალაქი აღმოსავლეთ გერმანიაში, საქსონია-ანჰალტის მხარეში, მდინარე ელბაზე (50 ათასი).
**ვიტენი** - ქალაქი გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში (105 ათასი).
**ვიტენისი** - ლიტვის დიდი მთავარი 1293 წლიდან, გედიმინისის ძმა (? – დაახლოებით 1315 წწ).
**ვიტერბო** - ქალაქი იტალიის ვიტერბოს პროვინციაში, რომის ჩრდილოეთით.
**ვიტერიტი** (უიტერიტი) - კარბონატების კლასის მინერალი, უფერო, ნაცრისფერი ან მოყვითალოა.
**ვიტვატერსრანტი** - მსოფლიოში უდიდესი ოქროსა და ურანის აუზი, რომელიც მდებარეობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტრანსვაალის პროვინციაში.
**ვიტი** 1) იან დე - ჰოლანდიის სახელმწიფო მოღვაწე, შეერთებული პროვინციების რესპუბლიკის ფაქტიური მმართველი 1650-1672 წლებში (1625 - 1672 წწ). 2) კატარინა - გერმანელი სპორტსმენი ქალი, ოლიმპიური თამაშების (1984, 1988) ჩემპიონი ფიგურულ სრიალში (დაიბადა 1963 წელს). 3) მონიკა (ნამდვილი სახელი და გვარი მარია-ლუიზა ჩეჩერელი) - იტალიელი კინომსახიობი ქალი (დაიბადა 1931 წელს). 4) ოტო ნიკოლაუს - გერმანელი ქიმიკოსი (1853-1915 წწ).
**ვიტიგი** 1) გეორგ - გერმანელი ქიმიკოსი, 1979 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი გ.ბრაუნთან ერთად (1897 - 1987 წწ). 2) ედვარდ - პოლონელი მოქანდაკე (1879 - 1941 წწ).
**ვიტიერი** სინტიო - კუბელი პოეტი (დაიბადა 1921 წ).
**ვიტიკულტურა** - ვენახის გაშენება, მევენახეობა.
**ვიტი-ლევუ** - კუნძული წყნარ ოკეანეში, ყველაზე დიდი ფიჯის კუნძულებს შორის.
**ვიტილიგო** (ლათ.) - კანის დაავადება, სირსველი, პიგმენტაციის დარღვევა, კანის სხვადასხვა უბანზე პიგმენტის გაქრობა. მიზეზი უცნობია. ემართებათ ახალგაზრდებს, უმეტესად ქალებს.
**ვიტიმი** - 1) დაბა რუსეთის იაკუტიის რესპუბლიკაში. 2) მდინარე რუსეთის იაკუტიის რესპუბლიკასა და ჩიტის და ირკუტსკის ოლქებში, ლენის მარჯვენა შენაკადი (1837 კმ).
**ვიტიმის** ზეგანი - მდებარეობს იმიერბაიკალეთის დასავლეთ ნაწილში, მდინარე ვიტიმის ზემოეთში, რუსეთის ბურიატიის რესპუბლიკაში.
**ვიტიმსკი** - დაბა რუსეთის ირკუტსკის ოლქში.
**ვიტიჩევი** - ძველრუსული ქალაქი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე X-XIII საუკუნეებში.
**ვიტკიევიჩი** სტანისლავ იგნაცი - პოლონელი მწერალი (1885 - 1939 წწ).
**ვიტნერი** ვიქტორ - ავსტრიელი პოეტი და დრამატურგი (1896 - 1949 წწ).
**ვიტოვტი** (ვიტაუტასი) - ლიტვის დიდი მთავარი 1392 - 1430 წლებში (1350 - 1430 წწ).
**ვიტოლი** (ვიტოლსი) იაზეპს - ლატვიელი კომპოზიტორი და მუსიკის კრიტიკოსი, ლატვიური პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი დამაარსებელი (1863 - 1948 წწ).
**ვიტორია** - 1) ქალაქი ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ალავის პროვინციაში (205 ათასი). 2) ქალაქი-პორტი ბრაზილიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ესპირიტუ-სანტუსის შტატში (255 ათასი).
**ვიტორია** ფრანსისიკო დე - ესპანელი ღვთისმეტყველი და იურისტი (1483 - 1546 წწ).
**ვიტორინი** ელიო - იტალიელი მწერალი (1908-1966 წწ).
**ვიტორინო დე ფელტრე** - იტალიელი პედაგოგი, ჰუმანისტი (1378 - 1446 წწ).
**ვიტორიო ამედეო II** - სავოიის ჰერცოგი 1675-იდან, სიცილიის მეფე 1713 - 1720 წლებში, სარდინიის მეფე 1720 - 1730 წლებში (1666 - 1732 წწ).
**ვიტორიო ამედეო III** - სარდინიის მეფე (1726-1796 წწ).
**ვიტორიო ემანუელე I** - სარდინიის მეფე (1759-1824 წწ).
**ვიტორიო ემანუელე II** - სარდინიის მეფე 1849 - 1861 წლებში და გაერთიანებული იტალიის პირველი მეფე 1861 - 1878 წლებში (1820 - 1878 წწ).
**ვიტორიო-ვენეტო** - დასახლებული პუნქტი იტალიის ვენეციის ოლქში, სადაც I მსოფლიო ომის დასასრულს ავსტრო-უნგრეთის არმიამ იარაღი დაყარა.
**ვიტოსი** ვინცენტი - პოლონეთის პოლიტიკური მოღვაწე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი 1920-21, 1923, 1926 წლებში (1874 - 1945 წწ).
**ვიტოშა** - მთათა სისტემა ბულგარეთში, სოფიის მახლობლად, სიმაღლე 2300 მეტრამდე.
**ვიტრაჟი** (ფრანგ.) - მინისაგან ან სხვა მასალისგან დამზადებული ორნამენტული ან სიუჟეტური დეკორატიული კომპოზიცია, რომელიც ჩასმულია ფანჯრის ნაცვლად.
**ვიტრი** - იხილე *ვიტრი-სიურ-სენი.*
**ვიტრინა** (ფრანგ.) - 1) მაღაზიის ფანჯარა, სადაც მოთავსებულია გასაყიდი საქონლის ნიმუშები. 2) მომინული კარადა, ყუთი და მისთანები, რომელშიც გამოფენილია სხვადასხვა ნივთი (მუზეუმში, გამოფენაზე).
**ვიტრი-სიურ-სენი** -ქალაქი საფრანგეთის მარნის დეპარტამენტში.
**ვიტრიფიკაცია** - შემინვა.
**ვიტრუვიუსი** - რომაელი არქიტექტორი და ინჟინერი (ძვ.წ.აღ. I საუკუნის II ნახევარი).
**ვიუელა** - გიტარის მსგავსი ძველი ესპანური მუსიკალური ინსტრუმენტი.
**ვიუიარი** ედუარ - ფრანგი ფერმწერი (1868-1940 წწ).
**ვიუჟნი** - დაბა რუსეთის მურმანსკის ოლქში.
**ვიურმზეე** - იხილე *შტარნბერგერზეე.*
**ვიურმსერი** ანდრე - ფრანგი მწერალი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი (1899 - 1984 წწ).
**ვიურმული** ეპოქა (ვიურმი, ვიურმული გამყინვარება) - ალპების უკანასკნელი პლეისტოცენური მყინვარული ეპოქის სახელწოდება.
**ვიურტემბერგი** - ისტორიული ოლქი გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მისი ცენტრია ქალაქი შტუტგარტი.
**ვიურცბურგი** - ქალაქი გერმანიის ბავარიის მხარეში, პორტი მდინარე მაინზე (130 ათასი)
**ვიურცი** შარლ ადოლფ - ფრანგი ქიმიკოსი (1817 - 1884 წწ).
**ვიფ!** - იგივეა, რაც *იფ!*
**ვიფი** - საწყავია, სამთა მოდთა დამტევნელი, რომელ არს სატო (საბა).
**ვიქსა** - ქალაქი რუსეთის ნიჟნი ნოვგოროდის ოლქში (65 ათასი).
**ვიქსელი** კნუტ - შვედი ეკონომისტი (1851-1926 წწ).
**ვიქსი** - სოფელი საფრანგეთის ქალაქ შატიიონთან, სადაც ანტიკური ეპოქის ნასახლარი აღმოაჩინეს.
**ვიქტიმოლოგია** - კრიმინოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია დაზარალებულ პიროვნებასთან, კერძოდ მის ფსიქოლოგიურ თუ მორალურ თვისებებთან.
**ვიქტორენკო** ალექსანდრე - რუსი კოსმონავტი, 1987-90 წლების ფრენის მონაწილე (დაიბადა 1947 წელს).
**ვიქტორი** (ვიქტორ-პერენი) კლოდ - საფრანგეთის მარშალი, რევოლუციური და ნაპოლეონის ომების მონაწილე (1764 - 1841 წწ).
**ვიქტორია**[1] - 1) (ვიქტორია ნიანზა, უკერევე) - ტბა ტანზანიის უგანდის და კენიის საზღვარზე, სიღრმე 80 მეტრამდე. 2) კუნძული კანადის არქტიკულ არქიპელაგში. 3) მდინარე ავსტრალიაში, ერთვის ტიმორის ზღვის ჟოზეფ-ბონაპარტის ყურეს. 4) ქალაქი კანადაში, წყნარი ოკეანისპირა პორტი (70 ათასი). 5) სეიშელის კუნძულების დედაქალაქი, პორტი ინდოეთის ოკეანის პირას (25 ათასი). 6) შტატი სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიაში (ადმ. ცენტრი - მელბურნი). 7) კუნძული ჩრდ.ყინულოვან ოკეანეში, ეკუთვნის რუსეთის არხანგელსკის ოლქს. 8) (ვიქტორია-ფოლზი) - ჩანჩქერი მდინარე ზამბეზზე, სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი. სიმაღლე 120 მ, სიგანე 1800 მ.

## ენციკლოპედიის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

- პირველი ტომი, როგორც იცით, გასული წლის დეკემბერში გამოიცა. მომხმარებელთა თხოვნით ჩვენ დავაჩქარეთ მოერე ტომის მომზადება და ერთი წლის თავზე მასაც მოგაწვდით (ან უფრო ადრეც).
- მეორე ტომში შესულია მასალა ვ-დან მ-ის ჩათვლით და პირველ ტომზე დიდია მოცულობით. აქვე არის დანართი - „ოსკარის" ყველა ლაურეატი.
- ახლა მიმდინარეობს საპასუხისმგებლო სამუშაო, რაც კორექტირებას და საბოლოო რედაქტირებას გულისხმობს.
- ჩვენ უკვე მოგვაწოდეს განაცხადები მათ, ვისაც პირველი ტომი არ აქვს, ამიტომ მათს საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჯერ დაიბეჭდება მეორე ტომის სრული ტირაჟი, შემდეგ კი, ორიოდე კვირაში ხელმეორედ დავბეჭდავთ პირველსაც.
- ამჟამად თითქმის შესრულდა მსურველთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოხდეს პირველი ტომის ხელახალი გამოცემა.
- დაახლოებით 25 ნოემბრამდე, რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლება ამგვარი განაცხადის გაკეთება, შემდეგ კი ვეღარ შევძლებთ მსურველთა ინტერესების გათვალისწინებას, ამიტომ გთხოვთ დროზე გვაცნობოთ სურვილი ამ წიგნის შეძენისა.
- მესამე ტომის მომზადება უკვე დაიწყო და მასაც ერთი წლის შემდეგ გამოვცემთ.



*ქალთა რომანი*

**სტელა ბეგუელი**

**ამბავი იმისა, თუ როგორი სიყვარული შეუძლიათ ჟურნალისტებს**

dasawyisi 10 seqtembris paraskevis `fantaziaSi
ibeWdeba samSabaTis da paraskevis gamoSvebebSi

სანამ ვიქტორი თავისი რედაქტორის ლანძღვაში იყო, საბრინა მარტინიც ვერ ისვენებდა საკუთარ ბინაში. მას შეეძლო უამრავი გასართობი მოენახა, მაგრამ უაზროდ იჯდა და განუწყვეტლივ ადგილზე ცმუკავდა. ან როგორ უნდა დამშვიდებულიყო განვილილი დღის თავგადასავლების შემდეგ? „ეს ვიქტორი უცნაური კაცია, მაგრამ დღეს ნამდვილი რაინდივით მოიქცა“ - ფიქრობდა საბრინა. - „იგი ქედმაღლურად, შეფის ტონით ლაპარაკობდა, მაგრამ ხელი რომ შემახო, თითქოს... ო-ო-ო-ო-ო... რა სისულელეა!“

საბრინა ჟურნალს დასწვდა, მაგრამ არც კი გადაუფურცლავს.

„რა დროს ჩემი სიყვარულია?!“ — ჰკითხა საკუთარ თავს ქალმა და კარგად გაიაზრა ის ფაქტი, რომ თუ ვიქტორს შეხედავდა, როგორც მამაკაცს, მისი ჟურნალისტური წარმატებანი წარსულს უნდა ჩაბარებოდა. საბრინა ახლა ტელეფონს დასწვდა:

- პოლა, რით ხარ დაკავებული? - ჩასძახა მან ყურმილს.

- არაფრით - მშვიდად უპასუხა პოლამ. - პაემანი ჩამეშალა და ახლა თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ხაჭოიან ნამცხვარს მივირთმევ. შენ რაღა გჭირს?

საბრინას უნდოდა ეყვირა, რომ მას ვიქტორზე ფიქრი არ ასვენებდა, მაგრამ ამის ნაცვლად უთხრა: - ისეთი არაფერი.... ბანკის... ბანკის შესახებ მოვამზადე მასალა.

- ყოჩაღ! გავიგე ეს ამბავი. ყაჩაღები შენც ნახე?

„ვნახე, როგორ, არა, იმ ვაჟბატონის წყალობით...“

- ჰო, ვნახე... პოლა, სხვა თემაზე მინდა ლაპარაკი... - მცირე პაუზის შემდეგ მან ძლივს განაგრძო - ვიქტორი დემიენზე მინდა გკითხო.

სატელეფონო ხაზზე მცირე დუმილი გამეფდა.

- მე რა უნდა მკითხო?! მასთან შენ მუშაობ თუ მე?

- კარგი, ნუ დაიწყებ შენებურად... რაღაც უნდა გთხოვო, პატარა თხოვნა მაქვს შენთან... შეგიძლია მის შესახებ ინფორმაცია შემიგროვო?

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პოლამ ნაწყენი ხმით უპასუხა:

- შენთვის ეგებ პატარა რამ არის, მაგრამ მე ამის გამო შეიძლება სამსახური დავკარგო.

- კარგი, კარგი... ნუ აზვიადებ. მე ვიცი, რომ შენ გყავს ერთი თაყვანისმცემელი, ვინც ყველაფერს გაიგებს...

- რიჩარდი? მე მას ოთხი თვის წინ დავშორდი... მაინც რა გაინტერესებს? პატარა გოგონასავით შეგიყვარდა?

- არა, საკითხი სამსახურეობრივ სფეროს ეხება. მე მინდა გავიგო, ადრე სად მუშაობდა.

- თუ რამე გაინტერესებს მის შესახებ, თავად ჰკითხე. ხომ არ მოგკლავს ამის გულისთვის?

„უკვე ვკითხე... მაგრამ რა?“ - გაიფიქრა საბრინამ, სანამ პოლა ლაპარაკის ეშხში შედიოდა.

- ჩემს ნაცნობებს შორის შენ ყველაზე უკეთ გეხერხება ინფორმაციის მოპოვება, განსაკუთრებით კი კაცების შესახებ, ეს ვიქტორი რა გაგიხდა - ლაქლაქებდა პოლა და მადიანად ილუკმებოდა. - შენ ის გაინტერესებს როგორც უფროსი, თუ როგორც პოტენციური საყვარელი... ჰა?

...კიდევ კარგი, რომ პოლამ ვერ შეძლო დაენახა, თუ როგორ აუწითლდა საბრინას სახე: - ძილი ნებისა, პოლა, ხვალამდე! - უხეშად ჩასძახა საბრინამ და ყურმილი დადო.

* * *

ვიქტორმა სწრაფად წამოწია თავი და გაოგნებული მიაშტერდა კედლებს. „ღმერთო ჩემო, ისევ ის სიზმარი!“ - გაუელვა გონებაში. მას ბოლო ხანს გამუდმებით ესიზმრებოდა, რომ დალასის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე პიტის უსულო გვამის გვერდით იწვა. ნახევრად გამოფხიზლებულ ვიქტორს მწარე კვნესა აღმოხდა, მერე ძლივს წამოდგა და აბაზანისკენ გაეშურა, სახეზე ცივი წყალი შეისხა და სარკეში საკუთარ თავს მიაშტერდა. სარკიდან მას დაღლილი მამაკაცის სახე უმზერდა. ეს არ იყო ის პიროვნება, როგორიც მას წარმოედგინა საკუთარი თავი. მას უცებ თითქოს სახეზე ნათელი მოეფინაო, რადგან ფიქრით კვლავ საბრინას შესწვდა - „ხვალიდან შენც და ყველა დანარჩენიც დაინახავთ ვიქტორ დემიენის ნამდვილ სახეს!“ - ფიქრითვე შეეხმიანა იგი სასურველ ქალს.

მეორე დილით ვიქტორმა თავის მანქანა საბრინას „ლინკოლნის“ გვერდით გააჩერა. საბრინა იქ არსად ჩანდა - „ესე იგი უკვე ოთახშია“ - იმედგაცრუებით უსაყვედურა ვიქტორმა საკუთარ თავს, რადგან დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მასთან ერთად კვლავ გაევლოთ გზა ლიფტიდან კაბინეტამდე.

კაბინეტში რომ შევიდა, საბრინა ტელეფონზე ლაპარაკობდა და ვიქტორს ღიმილიანი ჟესტით მიესალმა. ვიქტორი იმ დღეს ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა და სურდა მთელი თავისი უნარი წარმოეჩინა. როგორც ჩანს, წინა ღამით საკუთარი თავისადმი მიცემული პირობა მოქმედებას იწყებდა. საბრინამ ყურმილი დადო და იგრძნო, რომ ვიქტორი ცნობიმოყვარეობით უმზერდა.

- ისევ თქვენი მეგობარი პოლიციელი იყო?

- არა - უდარდელად უპასუხა ქალმა და ფეხზე წამოდგა - მე უნდა წავიდე. საბრინამ უკან მოუხედავად გაიხურა კარი, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ ვიღაც წამოეწია და მხარზე ხელი დაადო.

- ძნელი ხომ არ იქნებოდა თქვენთვის, გეცნობებინათ, თუ საით აპირებთ წაბრძანებას?

ვიქტორის ასეთმა საქციელმა ქალს წამით გადაავიწყა სატელეფონო საუბარიც და ისიც, რომ ახალი სიუჟეტის მოსაძიებლად მიდიოდა, მაგრამ მალევე მოეგო გონს:

- ქალაქგარეთ მივდივარ. ფერმერებმა მაცნობეს, რომ წუხელის უცნაური გუგუნი კვლავ ისმოდა.

- გუგუნი?

- ჰო... ეს სატვირთო მანქანების ხმაა, რომლებსაც კვლავ მიაქვთ იქ საწარმოო ნარჩენებით სავსე ცისტერნები.

მხოლოდ ახლა შეავლო საბრინამ თვალი თანამოსაუბრეს და გაოცებით შენიშნა, რომ იგი ჯინსებით, თხელი პერანგით და ნამდვილი კოვბოური ჩექმებით იყო შემოსილი.

- ოჰო! დღეს რა თვალისმომჭრელად გამოიყურებით?!

ამ სიტყვებმა ვიქტორს წყენა მოჰგვარეს და მას სახე წამოუწითლდა კიდეც. „რა მემართება ამ ქალის დანახვაზე? რა პატარა ბიჭივით ვღელავ?!“ - თითქოს ეკითხებოდა საკუთარ თავს ოცდათექვსმეტი წლის კაცი, რომელსაც ცხოვრებაში უკვე ბევრი რამ და ვინმე ჰყავდა ნანახი და გასაოცებლად ნამდვილად აღარ ჰქონდა საქმე.

- არც თქვენ ხართ ნაკლებად გამოპრანჭული - გაღიზიანებუთ შეეპასუხა ვიქტორი ქალს.

- ჩავთვალოთ, რომ თქვენ ჩემთვის კომპლიმენტი გაიმეტეთ...

იმისათვის რომ საუბრის თემა შეეცვლა, ვიქტორმა სცადა ქალი გაეღიზიანებინა:

- თვალებზე უძილობა გეტყობათ, ისევ იმ ძველ ვესტერნებს უყურებდით მთელი ღამე?

საბრინამ მართლაც გაატარა მთელი ღამე ტელევიზორთან, ოღონდ იმ მიზნით, რომ როგორმე ვიქტორზე ფიქრი მოეშორებინა თავიდან, მაგრამ ვერც ძველმა ვესტერნებმა უშველეს საქმეს.

- დიახ, ასეა! ეს ფილმები მე ძალიან მართობენ.

- მე კი მგონია, რომ ვინმე ცოცხალი მამაკაცი ბევრად უფრო უკეთ გაგართობდათ.

ამ სიტყვებმა საბრინას წონასწორობა დააკარგვინეს. მას ვერ წარმოედგინა, რომ ვიქტორი მის პირად ცხოვრებას შეეხებოდა.

- მე ჩემს პრობლემებს მამაკაცების გარეშე ვაგვარებ... თქვენ ვინ გართობთ - მოსიყვარულე მეუღლე?

ვიქტორმა ირონიულად გაიღიმა: - განა მე ვგავარ ცოლიან კაცს?

საბრინამ თამამად შეხედა ცისფერი თვალებიდან მომდინარე მზერას და გულმა გამალებით დაუწყო ძგერა. „ასეთ მზერას ლიტერატურაში „საშიში“ უფრო სწორად „ცოდვისმომტანი“ ჰქვია“ - გაიფიქრა ქალმა და წარმოიდგინა, თუ რამდენ ქალს აუფორიაქეს ძილი და სიზმარი ამ ცისფერმა თვალებმა.

- არა, არ ჰგავხართ. - უპასუხა წამოწითლებულმა ქალმა.

ვიქტორმა ამჯერად გულღიად გაუღიმა და კაბინეტისკენ გაბრუნდა. - ჭკუით მოიქეცით - გამოსძახა მან ქალს ზურგშექცევით. ქალმა დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია, მაგრამ ვიქტორი უვე აღარ ჩანდა. „უნდა ვიჩქარო, თორემ ეს გადარეული კაცი შეიძლება ფერმერებთანაც გამომყვეს“ - გაიფიქრა საბრინამ და ლიფტისკენ წავიდა.

* * *

გავიდა სამი საათი. საბრინა კი არსად ჩანდა.

„ჯანდაბას ამ ფერმერების თავი... რამე ხომ არ დაემართა?“ - ეკითხებოდა საკუთარ თავს ვიქტორი. მან ერთხელაც გამოაღო კარი და დერეფანს გახედა, მაგრამ იქ, დამლაგებლის გარდა, არავინ ჩანდა. შემდეგ ისევ მიუჯდა სამუშაო მაგიდას და რაღაც ქაღალდებს დაუწყო თვალიერება. სამუშაო ძალიან ბევრი ჰქონდა. დანაშაულთა რიცხვი არათუ იკლებდა, პირიქით - მატულობდა კიდეც. წუხელის ღამით ისევ მოეკლათ ვიღაც, ალბათ, ნარკოტიკების გამო. არა, ამ სიუჟეტს არაფრით არ მისცემდა საბრინას - „რამდენიც არ უნდა იხტუნოს ამ ქალბატონმა, მკვლელობების საქმეს მას არ მივცემ“.

ვიქტორი თავს უხერხულად გრძნობდა. საბრინა რომ გავიდა ოთახიდან, მას ეგონა, რომ საქმეს შეუდგებოდა და მომავალი სტატიების რაღაც მონახაზსაც გააკეთებდა, რადგან კაბინეტში არავინ აუთამაშებდა თვალწინ ლამაზ ფეხებს, მაგრამ პირიქით - ეს პატარა ოთახი საბრინას გარეშე მიცვალებულთა სამყოფელს დაემსგავსა. ვიქტორს ენატრებოდა ქალი - თუნდაც ირონიულად მომღიმარი და თუნდაც ლაქლაქში გართული.

- არა, ეს შეუძლებელია! - ხმამაღლა უთხრა ვიქტორმა საკუთარ თავს და საბრინას მიერ ყავადანში ჩატოვებული ყავა ხელახლა გაიცხელა. ერთი ყლუპიც კი არ ჰქონდა დალეული, ოთახში საბრინა რომ შემოიჭრა. მას ხელში რაღაც ბრტყელი ყუთი ეჭირა და სახეზე ბედნიერი ღიმილი გადაჰფენოდა.

ვიქტორი უხმოდ მიაშტერდა ქალს. ეს იყო წყენით, მუდარით, მრისხანებით, მონატრებით... შეზავებული მზერაა.

- ისევ დავაშავე რამე? - გულუბრყვილო ბავშვივით იკითხა საბრინამ და პასუხის მოლოდინში გაიტრუნა.

- სად დაიარებით, ქალბატონო! უკვე სამი საათია თქვენს მოლოდინში ვარ! - ვიქტორის ხმას ამ წუთას ნამდვილად არ აკლდა არც რიხი და არც დამაჯერებლობა.

*გაგრძელება სამშაბათს, 16 ნოემბერს*

# ეს ნახატი ვინმე აფრიკელმა ზანგმა რომ ამოხსნას, აუცილებლად იტყოდა - „აქ რამ მოგიყვანაო? შე დალოცვილო, შენა“



| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 2 | 1 | 1 | 1 | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | 2 | 3 | | 5 | | 4 | | | | | 4 | | | |
| | | 3 | 1 | 4 | 5 | 9 | 8 | 2 | | 4 | 6 | 6 | 6 | 7 | | 8 | 8 | 9 | | | | | | 4 | 2 | 4 | 4 | 9 | 2 | 4 | 1 | | 9 | 6 | | 2 | 10 | 10 | |
| 4 | 6 | 2 | 4 | 3 | 5 | 4 | 4 | 3 | 4 | 3 | 6 | 6 | 5 | 5 | 8 | 6 | 2 | 6 | 7 | 4 | 5 | | | 3 | 1 | 3 | 3 | 2 | 1 | 2 | 1 | 9 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | |
| 9 | 8 | 5 | 3 | 2 | 3 | 2 | 2 | 1 | 4 | 3 | 2 | 1 | 4 | 9 | 6 | 5 | 4 | 7 | 6 | 15 | 14 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 5 | 7 | 10 | 3 | 2 | 4 | 2 | 3 | 3 | 5 |
| 2 | 4 | 5 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 | 4 | 7 | 8 | 15 | 2 | 6 | 7 | 5 | 2 | 2 | 6 | 9 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 6 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 6 | 6 | 7 |
| | | | | | 4 | 10 | 10 |
| | | | | | 3 | 13 | 13 |
| | | | | | 2 | 14 | 16 |
| | | 2 | 14 | 5 | 2 | 3 | 3 |
| | 2 | 3 | 8 | 5 | 1 | 3 | 2 |
| | | 2 | 4 | 10 | 2 | 2 | 2 |
| | | | 4 | 8 | 3 | 2 | 3 |
| | | | 2 | 5 | 3 | 3 | 3 |
| | | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 4 |
| | | 4 | 1 | 3 | 4 | 2 | 4 |
| | | | 6 | 5 | 3 | 1 | 3 |
| | | | | 6 | 6 | 3 | 2 |
| | | | | 8 | 7 | 2 | 1 |
| | | | | 3 | 3 | 7 | 2 |
| | | | | 2 | 7 | 5 | 2 |
| | | | | 2 | 4 | 4 | 2 |
| | | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 7 |
| | 1 | 1 | 1 | 2 | 5 | 1 | 2 |
| 1 | 5 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 4 |
| | 5 | 2 | 1 | 2 | 2 | 3 | 5 |
| | 5 | 4 | 2 | 1 | 4 | 2 | 1 |
| | | 4 | 2 | 3 | 2 | 6 | 1 |
| | | | | 3 | 2 | 4 | 3 |
| | | | | 2 | 2 | 3 | 10 |
| | | | 3 | 2 | 2 | 1 | 9 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 |
| | | | | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | | | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | | | | 5 | 2 | 2 |
| | | | | | 4 | 2 | 3 |
| | | | | | 3 | 2 | 2 |
| | | | | | | 3 | 2 |
| | | | | | 4 | 1 | 2 |
| | | | | | 3 | 2 | 3 |
| | | | | | 3 | 3 | 2 |
| | | | | | 4 | 3 | 2 |
| | | | | 1 | 4 | 3 | 5 |
| | | | | | | | 23 |
| | | | | | | | 31 |

## გასული ნომრის პასუხები

1-ლი გვ.



მე-6 გვ.



მე-13 გვ.



მეექვსე გვერდის ფოტოგამოცანაში ჩვენ ნიკიტა მიხალკოვის სახეს ტომ კრუზის თვალები „მივახატეთ“

თუ ჩვენ ამა თუ იმ კროსვორდის პასუხი არ დავბეჭდეთ და თქვენთვის გამოცანად დარჩა რამე, შეგიძლიათ დაგვირეკოთ - 76-68-02 და შევეცდებით ამომწურავი პასუხი გაგცეთ ყველაფერზე.

**მესამე გვერდი.**

*თარაზულად:* 1. ბიანკა. 6. გეკი. 8. ლაქლაქა. 10. გამბიტი. 11. ნოსტე. 12. კლავირი. 13. ტერცეტი. 14. მაამო. 15. ნიორაძე. 16. დალიდა. 19. დიოდი. 20. სინოპე. 23. კონკურსი. 24. ვირა. 26. რაფაელი. 27. საბუდარა. 28. ზარი. 29. ნაირობი. 30. საჯინიბო. 34. ტახი. 35. პიპინი. 38. კანტაბრია. 41. ჟერმინალი. 42. კილანინი. *შვეულად:* 1. ბაგეტი. 2. ალმერია. 3. კეიტელი. 4. აქსაკოვი. 5. ბარისახო. 6. განიმედე. 7. კასპაროვი. 8. ლიკინა. 9. აერობიკა. 16. დიორამა. 17. ლაკმუსი. 18. დარბაზი. 20. სირანო. 21. ნეფრიტი. 22. პრეტორი. 24. ვიზიტი. 25. რერიხი. 30. საკე. 31. ჯინსი. 32. ნიასა. 33. ბერნი. 35. პაჟი. 36. პერო. 37. ნაია. 39. ბაო. 40. სიუ.

**მეხუთე გვერდი.**

*თარაზულად:* 1. აბრამიანი. 8. აბრსკილი. 9. ბილირუბინი. 10. სამპრასი. 11. ნიკელი. 13. ონისე. 16. ანთალია. 18. აკიმი. 19. ბრახუნი. 20. ლიტაო. 23. ანალოე. 24. ედელვაისი. 25. აეროზოლი. 26. ტრავმა. 27. მიმიკა. 30. ნიკიტა. 33. ბიბლია. 34. ლაგვინი. 35. დელიბი. 36. სასტრი. 37. მაროკო. 38. ალატაუ. *შვეულად:* 1. ალბედო. 2. როლანი. 3. მარინე. 4. ამბაკო. 5. ბრემენი. 6. სკარლატი. 7. პლასტიკა. 8. აისი. 12. ლიკანი. 14. ნურადინი. 15. სახალინი. 16. ამალთეა. 17. ანტანტა. 20. ლენონი. 21. ტიროლი. 22. ოპტიკა. 23. ასმათი. 25. ამულეტი. 27. მალა. 28. მაგია. 29. კაირო. 30. ნადია. 31. კალთა. 32. ტაბლა. 33. ბისო.

*ინგლისური ენის შემსწავლელთათვის*




**William Shakespeare (1564–1616) Sonnets**

უილიამ შექსპირი
სონეტები

O, that you were yourself! but, love, you are
No longer yours than you yourself here live:
Against this coming end you should prepare,
And your sweet semblance to some other give.

So should that beauty which you hold in lease
Find no determination: then you were
Yourself again after yourself's decease,
When your sweet issue your sweet form should bear.

Who lets so fair a house fall to decay,
Which husbandry in honour might uphold
Against the stormy gusts of winter's day
And barren rage of death's eternal cold?

O, none but unthrifts! Dear my love, you know
You had a father: let your son say so.

* * *

(Маршак)

**Не изменяйся, будь самим собой.**
**Ты можешь быть собой, пока живешь.**
**Когда же смерть разрушит образ твой,**
**Пусть будет кто-то на тебя похож.**

**Тебе природой красота дана**
**На очень краткий срок, и потому**
**Пускай по праву перейдет она**
**К наследнику прямому твоему.**

**В заботливых руках прекрасный дом**
**Не дрогнет перед натиском зимы,**
**И никогда не воцарится в нем**
**Дыханье смерти, холода и тьмы.**

**О, пусть, когда настанет твой конец,**
**Звучат слова: "Был у меня отец!"**

* * *

შენ ისევ ის ხარ, ვინც საკუთარ თავს არ იცოდებს,
ისევ გგონია, რომ არ გერჩის დორის დინება,
მაგრა თუ ნებით არ გადასცემ ვინმეს სიცოცხლეს,
გამომძალველად თვით სიკვდილი მოგევლინება.

ბუნება მოკვდავს მთელ სიკეთეს სესხად აძლევს და
მისგან სარგებლის მოლოდინით ჭკუას არიგებს,
რომ ეს სიკვდილი ვერასოდეს ვერვის დაძლევდა,
კაცი სიკეთეს შვილებში თუ ჩამოარიგებს.

განა დაანგრევს ვინმე მკვიდრად ნაშენებ სახლ-კარს?
მის ასაგებად განა ფუჭი იყო წვალება?
მას ხომ ზამთარი დიდ ყინვაში ფრთასაც ვერ დაჰკრავს,
მას ხომ არავინ დააბედა გარდაცვალება...

შენც გონს მოუხმე, სანამ სრულად არ დაინისლა -
შენ გყავდა მამა და შენც მამა გახდი შვილისა.

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა,
ნოემბერი , 2004 წელი

# გასული ნომრის პასუხები

## მერვე გვერდი



## მეცხრე გვერდი



## მეათე გვერდი



## მეთერთმეტე გვერდი



## მეთორმეტე გვერდი



**ამავე ნომრის მეორე გვერდის რეიტინგის პასუხები**

**თარაზულად**: 1. ლარგო. 4. ბურუნდუკი. 11. ადამიანური. 12. ბარდნა. 14. აბოლიცია. 15. გენეტიკა. 17. კონსტიტუცია. 18. ამტი. 21. ოჟიო. 22. იტერბიუმი. 25. ატაკამა. 26. ანინა. 30. ანალოე. 31. ავიამოდელი. 33. პრეტორია. 34. არტემონი. 35. ბასილისკო. 36. კიკინა.

**შვეულად**: 2. აკაროლოგია. 3. გრიფიუსი. 5. უდრი. 6. დიარეა. 7. კადმიუმი. 8. პალაუ. 9. ანტიბიოტიკი. 10. თავაზიანი. 13. რელიგია. 16. ბუგრიმოვა. 19. პოლიკარპე. 20. ამენჰოტეპი. 23. ატროპოსი. 24. ინდევორი. 27. გალერა. 28. ბადრი. 29. ლიკინა. 32. ვირი.

ინდივიდუალური საწარმო „ფანტაზია-2000“
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს
მიერ № 5/1-2304
ტელეფონები: 76-68-02, (877) 45-19-80
რედაქტორი ალექსანდრე ელერდაშვილი
e-mail - fantaziori@hotmail.com

# მომავალ შეხვედრამდე, 19 ნოემბერს

| 30 (327) | ჩვენი პოეტი, შოთა 10 | სამხ. ამერიკული აქლემი 4 | ნელი ტემპი 5<br>ფრინველი 4 | ოინი, მარსი 5<br>1-ლი ნათლია 5 | მოწყალე ანუ? 5 | საფრანგეთის ისტ. ოლქი 6 | შუშა 4 | სპარტაკის მშობლიური რეგიონი 6 | “კარის“ ავტორი 8 | მეტყველების ნაწილი 8 | მარსელის საფეხბურთო კლუბი 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმაც და თოვლიც 6 | | | | | | | | | | | |
| დენი დიდროსეული „ძმისწული“ 4 | | | | | | | | | | | |
| ქალაქი ბელგიაში 8 | | | | | | | | | | | |
| ისტორიის მუზა 4 | | | | | | | | | | | |
| დაცინვა 6 | | | | | | | | | | | |
| ზეგის შემდეგ ანუ? 5 | | | | | | | | | | | |
| თირკმელების ანთება 7 | | | | | | | | | | | |
| ცხენის კისრის დასასრული 5 | | | | | | | | | | | |
| „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი 5 | | | | | | | | | | | |
| ძიუდოისტთა ოსტატობის ხარისხი 4 | | | | | | | | | | | |
| ირანის ვალუტა 5 | | | | | | | | | | | |
| ვისკის ნედლეული 4 | | | | | | | | | | | |
| სოფელი ახალქალაქის რნ-ში 8 | | | | | | | | | | | |
| ლოცვის სიტყვა 4 | | | | | | | | | | | |
| ციმბირის მდინარე 6 | | | | | | | | | | | |

| 2004 წელი | ილიონი 4<br>პური ბავშვის ენაზე 4 | 88-ე ქიმიური ელემენტი 7 | (....) ჰიუსტონი 5<br>შაბათს მოსდევს 5 | რომაელი ისტორიკოსი ტიტუს (....) 7 | ევროპელი ებრაელების ენა 5<br>წყნარი ოკეანის კუნძ. ქვეყანა 5 | რუსი მწერალი ლაზარ (....) 6 | გამოსაკითხი ფურცელი 6<br>პატარა მამაკაცი 4 | მუსლიმანთა დღესასწაული 7 | ორი პრობლემა 6<br>ბუდიზმის იაპონ. სკოლა 4 | „ადიდასის“ შემქმნელი 7 | სასმსონის სატრფო 6<br>ფუქი 4 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დიდი სიცხის დროს იცის 4 | | | | | | | | | | | |
| მისი სასჯელი უძირო კასრის ავსება იყო ბერძ. მითოლ. 7 | | | | | | | | | | | |
| ბგერების პერიოდული მონაცვლეობა 5 | | | | | | | | | | | |
| ლითონის კოჭი 7 | | | | | | | | | | | |
| რაიმეზე დამდგარი მზის შუქი 5 | | | | | | | | | | | |
| საწვიმარი 6 | | | | | | | | | | | |
| ის, რადაც არ ღირდა ჩიტი ერთ გამონათქვამში 6 | | | | | | | | | | | |
| აურზაურის სინონიმი 6 | | | | | | | | | | | |
| ცუდი და თხელი თმა 6 | | | | | | | | | | | |
| ნიგერის დედაქალაქი 6 | | | | | | | | | | | |
| ქალის საბანაო კოსტიუმი 6 | | | | | | | | | | | |
| „(....) თომას ქოხი“ 5 | | | | | | | | | | | |
| მარტოობის მოყვარული 7 | | | | | | | | | | | |
| პატარა და ცელქი ავსული 5 | | | | | | | | | | | |
| ტკბილი პური 6 | | | | | | | | | | | |